,,სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის“ დასკვნა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2025 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

კომისიამ განიხილა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2025 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ განკარგულების პროექტი და მის მიმართ შენიშვნები არ გააჩნია.

,,სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის“ დასკვნა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2025-2026 წლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტის მოწონების შესახებ.

კომისიამ განიხილა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2025-2026 წლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტის მოწონების შესახებ განკარგულების პროექტი და გააჩნია შენიშვნები: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოები საჭიროებს მოვლა-პატრონობას, მაგ. ჩოხატაურის ცენტრალურ სასაფლაოს არ გააჩნია ღობე, არ არის ავტომობილების გასაჩერებელი ადგილი გამოყოფილი. ხმელი და დაზიანებული ხეები საფრთხეს უქმნის საფლავებს, ზოგიერთ ადგილებში შესაკეთებელია გზები და სასაფლაოებთან მისასვლელები.

სტიქიურმა მოვლენებმა საცხოვრებელი სახლების გარდა დააზიანა მუნიციპალიტეტში არსებული ინფრასტრუქტურა. მაგ. ფარცხმაში ჩავარდნილია ხიდი, შესაკეთებელია დაზიანებული გზები. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებშიც.

კარგი იქნება, თუ მერია შეისწავლის ამ საკითხებს და მოიძიებს სჭირო თანხებს მის აღმოსაფხვრელად.

,,სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის“ დასკვნა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსადგურის განთავსების მიზანშეწონილობის თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

კომისიამ განიხილა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსადგურის განთავსების მიზანშეწონილობის თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ განკარგულების პროექტი და მის მიმართ შენიშვნები არ გააჩნია.

,,სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის“ დასკვნა

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის იმ დასახლებების ნუსხის დამტკიცების შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

კომისიამ განიხილა „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის იმ დასახლებების ნუსხის დამტკიცების შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

,,სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის“ დასკვნა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.

კომისიამ განიხილა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ განკარგულების პროექტი და მის მიმართ შენიშვნები არ გააჩნია.